დავით ზედელაშვილი*

# საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, როგორც სამართლებრივი ელიტის წევრები ავტორიტარულ რეჟიმებში: საქართველოსა და რუსეთის შედარებითი გამოცდილება

## 1. შესავალი

თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში, აპექსის (საკონსტიტუციო) სასამართლოების როლი ტრადიციულად გაგებულია, უზენაესი კანონის დამცველის ფუნქციის მიხედვით. მათ ასევე მოიხსენიებენ როგორც დემოკრატიული ტრანსფორმაციისთვის ინსტრუმენტულ ინსტიტუტებს. ამ სასამართლოებმა, როგორც სპეციალიზებული, ისე დიფუზური ფორმით, დააგროვეს მნიშვნელოვანი, ხშირად კი პოლიტიკური შტოების ტოლფასი ძალაუფლება. ამან განაპირობა ის, რომ მათ, როგორც „იურისტოკრატიის" მთავარ ინსტიტუტებად წარმოგვიდგენენ.[1]

თუმცა, როდესაც ამ ინსტიტუტებს არალიბერალური და ავტორიტარული რეჟიმების ფარგლებში განვიხილავთ, მათი შინაარსის აღწერა გაცილებით რთული და წინააღმდეგობრივია. ასეთ კონტექსტებში, სწორედ ის სასამართლოები, რომლებიც სამართლის ბოროტად გამოყენების გამოსავლენად და მის თავიდან ასაცილებლადაა შექმნილი, აქტიურად ერთვებიან ამ უკანასკნელ საქმიანობასა და კონსტიტუციურ სანქცირებაში. ეს

* წინამდებარე სტატია მომზადდა 2025 წლის ზაფხულში, როდესაც ავტორი საქართველოს უნივერსიტეტთან არსებული კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise მკვლევრად მუშაობდა.

1 RAN HIRSCHL, TOWARDS JURISTOCRACY: THE ORIGINS AND CONSEQUENCES OF THE NEW CONSTITUTIONALISM (2004).

ჩართულობა კრიტიკულია არალიბერალური რეჟიმებისთვის, რომლებიც „სამართლებრივი თვალთმაქცობის“[2] სისტემას კონსტიტუციურად აფორმებენ. როდესაც ეს რეჟიმები უფრო გამყარებული ავტორიტარიზმისკენ მიისწრაფვიან, მხოლოდ თვალთმაქცობის პარადიგმა უკვე საკმარისი აღარ არის. რეჟიმის ოფიციალური იდეოლოგიის სამართლებრივი გამართლება და მისი ღონისძიებების აქტიური ლეგიტიმაცია რუტინული ხდება და ამ ევოლუციის ცენტრში სწორედ აპექსის სასამართლოები არიან.

მიუხედავად იმისა რომ იდეალურ შემთხვევაში, პლებისციტური დემოკრატიის ფარგლებში მოქმედი არალიბერალური რეჟიმები ესწრაფვიან როგორც კონსტიტუციის გადასინჯვის ერთპიროვნულ ძალაუფლებას, ისე მორჩილ სასამართლო ხელისუფლებას, ეს უკანასკნელი ხშირად შეუცვლელი ხდება მაშინ, როდესაც ერთპიროვნული საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის აუცილებელი სუპერუმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი. აქ ფუნდამენტური წინააღმდეგობა ისაა, რომ ინსტიტუტები, რომლებიც თითქოსდა სამართლის უზენაესობის დაცვას ემსახურებიან, არალიბერალური სისტემის პირობებში სტრუქტურულად გარდაიქმნება, რათა შეინარჩუნონ კანონიერების საფარველი და ამავდროულად სისტემატურად ძირი გამოუთხარონ მის ფუძემდებლურ პრინციპებს. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი გადაიქცევა სისტემური სამართლებრივი მანიპულაციის მექანიზმად.

ამ სტატიაში გამოკვლეულია ორი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის განსხვავებული, მაგრამ დაკავშირებული ავტოკრატიზაციის ტრაექტორიები, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლოებმა არსებითი, თუმცა განსხვავებული როლი შეასრულეს.

სტატია განიხილავს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს (რსს) გარდაქმნას პოლიტიკური რეჟიმის ტრანსფორმაციის კვალდაკვალ და მის როლს ელცინის პერიოდის არალიბერალური პლებისციტური ლიდერის დემოკრატიის[3], პუტინის ჰეგემონური საარჩევნო ავტორიტარიზმისა[4] და მოგვიანებით, გვიანდელი პუტინის ეპოქის[5] პერსონალისტური დიქტატურის პირობებში. ამავდროულად, გაანალიზებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (სსს) ტრანსფორმაცია შევარდნაძის, სააკაშვილისა და ადრეული ივანიშვილის პერიოდის არალიბერალური, პლებისციტური დემოკრატიის რეჟიმებიდან, გვიანი ივანიშვილის მმართველობის[6] საარჩევნო ავტორიტარიზმამდე.

ამ სტატიაში განვითარებული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ რსს და სსს განსხვავებულად რეაგირებდნენ მათი პოლიტიკური რეჟიმების ავტოკრატიზაციაზე, მათ შორის კრიტიკული სხვაობა მდგომარეობს რუსი მოსამართლეების პროაქტიულ ადაპტაციაში ავტორიტარული კონსოლიდაციის სწრაფად მიმდინარეობისას, რითაც მათ პუტინის პირველი საპრეზიდენტო ვადისას თავიდან აიცილეს

2 ANDRÁS SAJÓ, RULING BY CHEATING: GOVERNANCE IN ILLIBERAL DEMOCRACY. (2021).

3 Maria Snegovaya, Why Russia's Democracy Never Began, 34 J. Democracy 105 (2023).

4 Regina Smyth, Elections, Protest, and Authoritarian Regime Stability: Russia 2008–2020 (2020).

5 Nikolai Petrov, The Putin Regime in Russia, in Personalism and Personalist Regimes 154 (2024).

6 V-Dem Inst., Democracy Report 2025: 25 Years of Autocratization – Democracy Trumped? (2025).

მტრული ინსტიტუციური მიტაცება. ამ ადრეულ ადაპტაციას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რსს-ის თავმჯდომარის, ვალერი ზორკინის, როგორც სამეწარმეო უნარების მქონე (entrepreneurial) ლიდერის თვისებები, რომელმაც მოახერხა, რეჟიმის იურიდიულ ელიტაში წარმატებით გამოენახა მნიშვნელოვანი ადგილი როგორც თავისთვის, ასევე მთლიანად რსს-თვის.

მკვეთრად განსხვავებული იყო ქართველი საკონსტიტუციო მოსამართლეების ქცევა, რომლებიც დაგვიანებულად შეეცადნენ ადაპტირებას ავტოკრატიზაციის გზაზე მყოფ რეჟიმთან და არ ჰყავდათ მსგავსი სამეწარმეო თვისებების მქონე ლიდერი. ამის ნაცვლად, ივანიშვილის მმართველობის დასაწყისში, სახელმწიფოს მიტაცების დაჩქარებული პროცესის გადამწყვეტ მომენტში, სსს-ის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ კონსტიტუციის ერთგულება არჩია, დაუპირისპირდა რა ინსტიტუციური მიტაცების მცდელობებს. ამან გამოიწვია რეჟიმის საპასუხო რეაქცია, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მტრული ინსტიტუციური მიტაცებით დასრულდა. მიუხედავად იმისა რომ ახალმა, ინსტიტუციური მიტაცების შემდგომმა ლიდერებმა სცადეს შემობრუნება და სამეწარმეო ლიდერობის უნარების გამოვლენა, მათ ივანიშვილის რეჟიმის იურიდიული ელიტის ზედა ეშელონები უკვე შევსებული დახვდათ.

შესაბამისად, ინსტიტუციური მიტაცების შემდეგ, სსს-ის მოსამართლეები, ივანიშვილის რეჟიმის იურიდიულ ელიტაში დაქვემდებარებულ პოზიციებზე აღმოჩნდნენ. წინამდებარე შედარებითი კვლევა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად არალიბერალური და ავტორიტარული სამართლებრივი სისტემების ფუნქციონირებაში აპექსის სასამართლოების არსებითი მნიშვნელობისა, მათი მოსამართლეები ავტომატურად ვერ იკავებენ მაღალ იერარქიულ მდგომარეობას რეჟიმის იურიდიულ ელიტაში; არამედ კონტექსტური ფაქტორები, როგორიცაა აპექსის სასამართლოს ლიდერების სამეწარმეო უნარი, გადამწყვეტ როლს ასრულებს.

სტატიის შემდგომ თავებში მოცემულია თეორიული ჩარჩო არალიბერალურ და არადემოკრატიულ კონტექსტებში საკონსტიტუციო სასამართლოების როლის გასაგებად. კერძოდ, დეტალურად იქნება განხილული სასამართლო ავტონომიის სპექტრი და უმაღლესი სასამართლოების ინსტიტუციური დიზაინის შინაგანი სისუსტეები. ამის შემდეგ, წარმოდგენილი იქნება რსს-ისა და სსს-ის ისტორიული ტრაექტორიებისა და საქმიანობის გზების დეტალური შედარებითი ანალიზი, რაც ხაზს გაუსვამს მათ ბრძოლას ავტონომიისა და ადაპტაციისთვის ცვალებად პოლიტიკურ ლანდშაფტებში. დაბოლოს, სტატია გამოკვეთს ავტორიტარულ რეჟიმებში აპექსის სასამართლოს თავმჯდომარეების სამეწარმეო ლიდერობის უნარების ქონის (ან არქონის) კრიტიკულ როლს (განსაკუთრებით ვალერი ზორკინის მაგალითზე), ამ ქვეყნების საკონსტიტუციო მოსამართლეების თავიანთი ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმების იურიდიულ ელიტაში განსხვავებული მდგომარეობის ჩამოყალიბებაში.

# 2. საკონსტიტუციო სასამართლოები არალიბერალურ და ავტორიტარულ რეჟიმებში

საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის[7] გლობალურმა გავრცელებამ განამტკიცა მისი სტატუსი, როგორც სამართლებრივი კონსტიტუციონალიზმის ცენტრალური ინსტიტუციური მახასიათებლისა, რომელიც მჭიდროდაა გადაჯაჭვული უმაღლესი კანონის ეფექტურობასა და უზენაესობასთან.[8] შესაბამისად, აპექსის სასამართლოებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს საკუთარი როლი კონსტიტუციურ დემოკრატიებში, დააგროვეს მნიშვნელოვანი ძალაუფლება, რომელიც ხშირად პოლიტიკური შტოების ძალაუფლებასაც კი მეტოქეობას უწევს.

ცივი ომის შემდგომი დემოკრატიზაციის ტალღის ფონზე, საკონსტიტუციო სასამართლოები ფართოდ აღიქმებოდა, როგორც დემოკრატიული ტრანზიციების ხელშემწყობი ინსტრუმენტი.[9] თუმცა, თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებმა ამგვარ გაგებაში მნიშვნელოვანი ნიუანსები გამოჰყო, რამაც ცხადყო, რომ დამოუკიდებელი და შედარებით ძლიერი საკონსტიტუციო სასამართლოები შეიძლება გაჩნდეს და იმოქმედოს სუსტი პოლიტიკური პლურალიზმის კონტექსტშიც კი, კონსოლიდირებული კონსტიტუციური დემოკრატიების გარეთაც.

მნიშვნელოვნად განვითარდა თეორიული პერსპექტივები სასამართლოებზე ავტორიტარულ და არალიბერალურ რეჟიმებში. მაგალითად, ტომ გინსბურგის „დაზღვევის თეორია“[10] თავდაპირველად, ახალ დემოკრატიებში საკონსტიტუციო სასამართლო ორგანოების გაჩენას უკავშირებდა პოლიტიკური პლურალიზმის პირობებს. ამ თეორიის თანახმად, პოლიტიკური ელიტები ეძებდნენ მათი ძალაუფლების, პიროვნებისა და პოლიტიკის მიმართ არსებული სხვადასხვა რისკისგან დაზღვევას. დაზღვევის ეს განსხვავებული ფორმები გულისხმობს განსხვავებულ საკონსტიტუციო არჩევანს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციასთან, დაკომპლექტებასთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ჩარჩო ავტორიტარულ რეჟიმებში სასამართლოების სარგებლიანობის გასაგებადაც ღირებული გამოდგა. ამ კვლევის მიმართულების შემდგომი განვითარებისას, გინსბურგისა და თამირ მუსტაფას საფუძვლიანი ნაშრომი გვთავაზობს ავტორიტარული რეჟიმების საკონსტიტუციო სასამართლობის ფუნქციურ ახსნას და წარმოგვიდგენს ამ ფუნქციების ტიპოლოგიას, რომელიც მოიცავს: სოციალური კონტროლის დამყარებას, პოლიტიკური ოპონენტების ჩამოშორებას, რეჟიმის ლეგიტიმურობის განმტკიცებას, ადმინისტრაციული შესრულების გაძლიერებას, ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობას და წინააღმდეგობრივი პოლიტიკების განხორციელებას.[11]

7 Steven G. Calabresi, The Global Rise of Judicial Review Since 1945, 69 Cath. U. L. Rev. 401 (2020).

8 ANDRÁS SAJÓ & RENÁTA UITZ, THE CONSTITUTION OF FREEDOM: AN INTRODUCTION TO LEGAL CONSTITUTIONALISM (2017)

9 Paul Blokker, The (Re-)Emergence of Constitutionalism in East Central Europe, in THINKING THROUGH TRANSITION: LIBERAL DEMOCRACY, AUTHORITARIAN PASTS, AND INTELLECTUAL HISTORY IN EAST CENTRAL EUROPE AFTER 1989 139 (2015).

10 TOM GINSBURG, JUDICIAL REVIEW IN NEW DEMOCRACIES: CONSTITUTIONAL COURTS IN ASIAN CASES (2003).

11 RULE BY LAW: THE POLITICS OF COURTS IN AUTHORITARIAN REGIMES, (Tom Ginsburg & Tamir Moustafa eds., 2008), https://www.cambridge.org/core/product/64D05AB3BEAFEE4C86E01883B9A143DC.

ეს ნაშრომი გვიჩვენებს, რომ ავტორიტარულ გარემოში, სასამართლოები არ არიან მხოლოდ მათი მმართველების პაიკები; მათ, ფაქტობრივად, შეუძლიათ ისარგებლონ ავტონომიის[12] მნიშვნელოვანი ხარისხით რეჟიმის მიერ დადგენილ „წითელ ხაზებში“ იმ პირობით, რომ ისინი ხელს შეუწყობენ სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. სასამართლო ავტონომიის კონცეფცია ამ კონტექსტებში არ არის ორობითი ცნება, არამედ სპექტრზე განისაზღვრება. მიტაცებულ სასამართლოებსაც კი შეუძლიათ სამოქმედო თავისუფლების სივრცის გარკვეული ხარისხით მოპოვება.

ეს მათ საშუალებას აძლევს, რაციონალურად ახსნან რეჟიმის სასარგებლოდ სამართლისთვის ფარულად ძირის გამოთხრა პრაგმატული ან სამეწარმეო (entrepreneurial) მოსაზრებებით. პლებისციტური რეჟიმების საპირისპიროდ, ავტოკრატიის პირობებში, სასამართლო ავტონომიის განმსაზღვრელი წითელი ხაზები მნიშვნელოვნად მჭიდროვდება, აღწევს რა იმ წერტილს, როდესაც კონსტიტუციური ნორმებისადმი ერთგულების პრეტენზია მათი ძირის გამოთხრის პარალელურად ვეღარ თანაარსებობს. ამ დროს, უკვე არაფერია საკმარისი, გარდა რეჟიმის ოფიციალური იდეოლოგიისა და მიზნების ღია მხარდაჭერისა, ხოლო ავტონომია, რომელიც შეზღუდულად მაინც არსებობს, მიიღწევა და სტაბილიზდება რეჟიმთან უფრო ღრმა შინაარსობრივი და იდეოლოგიური თანხვედრის მეშვეობით.

ასეთ გარემოში მოსამართლეთა ქცევა ხშირად გამოწვეულია ინსტიტუციური და კარიერული არჩევანით, რაც რეჟიმთან თანამშრომლობას რაციონალურად გამართლებადს თუ არა, ახსნადს მაინც ხდის. გამოცდილება ცხადყოფს, რომ მოსამართლეები, ზოგიერთი ნორმატიული მოლოდინის საპირისპიროდ, სულაც არ არიან მიდრეკილნი მორალური გმირობისკენ.[13] ეს მახასიათებელი, რომელიც არ არის უნიკალური ავტორიტარული კონტექსტებისთვის, აქტიურად გამოიყენება არალიბერალური რეჟიმების მიერ მათი კონსოლიდაციისა და ყოველდღიური ოპერირებისას.

დაკვირვება რომლის თანახმადაც მოსამართლეები ზოგადად არ არიან მიდრეკილნი გმირული წინააღმდეგობისკენ, ნიშნავს იმას, რომ რეჟიმთან ფატალური შეჯახების ან საკუთარი სიცოცხლისა და თავისუფლებისთვის სერიოზული საფრთხის შემცველ გარემოებათა არსებობისას, ბევრისთვის რაციონალური და პროფესიულად განპირობებული პასუხია რეჟიმთან ადაპტირება თუ თანამშრომლობა და არა მისადმი დაუმორჩილებლობა. ეს მიდრეკილება ქმნის სისტემურ სისუსტეს, რომლის ექსპლუატაციაც რეჟიმებს ძალუძთ. შესაბამისად, სადამსჯელო ზომების გამოყენების ზოგად საფრთხეს, წახალისების მექანიზმებთან ერთობლიობაში, შეუძლია, საკმარისად უზრუნველყოს მოსამართლეთა ქცევის რეჟიმის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა.

ინდივიდუალური მოსამართლის ხასიათის თვისებებს მიღმაც, აპექსის სასამართლოებს თანდაყოლილი სტრუქტურული სისუსტეებიც აქვთ, რაც მათ მანიპულაციისა და მიტაცების სამიზნედ აქცევს. სტრუქტურული ნაკლოვანებები, რომლებიც კონსტიტუციურ

12 NATHAN BROWN ET AL., AUTOCRATS CAN'T ALWAYS GET WHAT THEY WANT: STATE INSTITUTIONS AND AUTONOMY UNDER AUTHORITARIANISM (2024).

13 András Sajó, On the Difficulties of Rule of Law Restoration, CEU Democracy Institute Working Papers No. 9, 2023, https://democracy-institute.ceu.edu/articles/andras-sajo-difficulties-rule-law-restoration

დემოკრატიებშიც არსებობს, საფრთხეს უქმნის სისტემურ მიუკერძოებლობას[14] და ხელს უწყობს მათ ინსტრუმენტალიზაციას პერსონალისტური ძალაუფლების სამსახურში.

ნაკლოვანებათა ერთი წყება დაკავშირებულია სისტემური მიუკერძოებლობის ნაკლებობასთან, რაც შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ ინსტიტუციის რეჟიმის ერთგული მოსამართლეებით გადავსებით (court-packing), არამედ სასამართლოში დანიშვნის ჩვეულებრივი წესებითაც, რომლებმაც, აშკარა ბოროტად გამოყენების გარეშეც კი, დროთა განმავლობაში, შეიძლება სისტემურად მიკერძოებული სასამართლოები წარმოქმნას. დამატებითი კრიტიკული სისუსტე არის საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების გადაჭარბებული ცენტრალიზაცია[15] სპეციალიზებულ ორგანოებში. უფლებამოსილებების მსგავსი კონცენტრაცია, მაშინაც კი, თუ იგი არ გამოიყენება, აპექსის სასამართლოებს არალიბერალური რეჟიმის მიერ მიტაცებისთვის მიმზიდველ სამიზნედ აქცევს, სწორედაც მათი ბოროტად გამოყენების ფართო პოტენციალის გამო.

„მეწარმე მოსამართლეებს“ შეუძლიათ, ამ პოტენციალზე მითითებით, რეჟიმის ლიდერები თანამშრომლობის სარგებლიანობაში დაარწმუნონ. ასეთი პროაქტიული ნაბიჯი აუცილებელიც კია ამ მოსამართლეთა მიზნების მისაღწევად, რადგან თუ რეჟიმის ლიდერები სათანადოდ ვერ აღიქვამენ სასამართლოების პრაქტიკულ ღირებულებას, შესაძლოა, ისინი სუსტად და არარელევანტურად დატოვონ. ამასთან, ზოგ შემთხვევაში, მსგავსი მარგინალიზაცია პარადოქსულად შეიძლება თავად სასამართლო ხელმძღვანელობის მხრიდან პრაგმატული და „სამეწარმეო“ ქცევის სტიმულადაც კი იქცეს: ისინი შეეცდებიან გააძლიერონ ინსტიტუციური პოზიციები და საკუთარი ადგილიც რეჟიმის იურიდიულ ელიტაში დაიმკვიდრონ. შესაბამისად, სასამართლოების საწყისი სისუსტე ზოგჯერ რეჟიმისთვის სტრატეგიულ აქტივად შეიძლება იქცეს, რადგან იგი სასამართლო ხელისუფლებას უბიძგებს პროაქტიულად წარმოაჩინოს საკუთარი სარგებლიანობა და რეჟიმს თანამშრომლობა შესთავაზოს, რითაც პოტენციური დაბრკოლება ლეგიტიმაციის დამატებით რესურსად გარდაიქმნება.

ამ კუთხით, ავტოკრატიზაციის დროს, სუსტი აპექსის სასამართლოსთვის, საკუთარი კონსტიტუციური ფუნქციების თვითდამტკიცება (self-assertion) კიდევ ერთი შესაძლებლობაა. მაშინ როდესაც რსს-მ და მოსამართლე ზორკინმა ამჯობინეს, პუტინზე შთაბეჭდილება მოეხდინათ რეჟიმისთვის მათი პოტენციური სარგებლიანობის დანახვებით, ივანიშვილის ადრეული მმართველობისას, რაც სახელმწიფოს სწრაფ მიტაცებას დაემთხვა, სსს-ის ხელმძღვანელობამ ფუნქციური თვითდამტკიცება აირჩია. აღნიშნული სსს-ის სწრაფი და მტრული ინსტიტუციური მიტაცებით დასრულდა.

პუტინის რეჟიმის პირობებში, მოსამართლე ზორკინის ქცევა შესაძლოა ასევე აიხსნას საკუთარივე მწარე გამოცდილებით. ელცინის პრეზიდენტობისას, მას სასამართლოს სითამამე, თავმჯდომარის თანამდებობის დაკარგად და სასამართლოდან გაძევებად დაუჯდა. ასევე, როგორც ჩანს, მოსამართლე ზორკინმა მართლაც გაიზიარა ნაციონალისტური იმპერიალიზმის

14 Gertrude Lübbe Wolff, One-sidedly Staffed Courts: A Problem of Impartiality – not only in Poland, VerfBlog, 2024/1/08, https://verfassungsblog.de/onesidedlystaffedcourts/ DOI: 10.59704/6808508fe66e5698.

15 Zdeněk Kühn, Centralized Judicial Review and the Problem of its ‘Over-Centralization,’, in TRANSITION 2.0: RE-ESTABLISHING CONSTITUTIONAL DEMOCRACY IN EU MEMBER STATES 277 (Michal Bobek et al. eds., 2023), https://doi.org/10.5771/9783748914938-277

ის ბრენდი, რომელიც პუტინის რეჟიმის იდეოლოგიურ საყრდენად იქცა. ამის მიუხედავად, არც ერთი ეს ფაქტორი არ აუქმებს მისი სამეწარმეო მიდგომის ინსტრუმენტულ ბუნებას. ამ ფაქტორებმა ერთმანეთი მხოლოდ გაამყარეს.

ქვემოთ, ჩვენ განვიხილავთ ამ ორი განსხვავებული სცენარის განვითარების მოდალობებს.

## 3. პოსტსაბჭოთა ქართული და რუსული საკონსტიტუციო სასამართლოები: ავტონომიისა და რეჟიმთან ადაპტაციისათვის ბრძოლა

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს (რსს) და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (სსს) ტრაექტორიები გვთავაზობს სასამართლო ადაპტაციისა და ავტონომიისთვის ბრძოლის მნიშვნელოვან შედარებით კვლევას ცვალებადი დინამიკის, არალიბერალურ და ავტორიტარულ პოლიტიკურ ლანდშაფტში. ქვემოთ მოცემული ცხრილი მათი ძირითადი შედარებითი მახასიათებლების მიმოხილვას გთავაზობს:

| მახასიათებელი | რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო (რსს) | საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (სსს) |
|---|---|---|
| **პოლიტიკური რეჟიმის ტიპი** | ჰეგემონური, საარჩევნო ავტორიტარიზმი და პერსონალისტური დიქტატურა (პუტინი) | პლებისციტური ლიდერის დემოკრატია და საარჩევნო ავტორიტარიზმი (შევარდნაძე, სააკაშვილი და ივანიშვილი) |
| **ადაპტაციის ვადები** | ადრეული/პროაქტიული | დაგვიანებული/რეაქტიული |
| **ლიდერობის სტილი** | სამეწარმეო (ზორკინი) | პრინციპული/უფლებამოსილების განმამტკიცებელი, პრაგმატული მეწარმე ლიდერის გარეშე |
| **ავტონომიის ტიპი (ხარისხობრივი)** | იდეოლოგიური თანხვედრა/ შეხმატკბილება | პრაგმატული მანევრირება |
| **ოპერაციული ძირითადი რეჟიმი** | ღია მოწონება/გამართლება | თვალთმაქცობა/უმოქმედობა |
| **სასამართლოს შიგნით უთანხმოება (მოსამართლეთა უმცირესობა)** | ქრება | შეწყნარებულია გარკვეულ ფარგლებში |
| **მოსამართლეების ელიტური სტატუსი** | მაღალი/ძალაუფლებასთან პირდაპირი წვდომა | დაბალი/დაქვემდებარებული |
| **გადაწყვეტილებების აღსრულების ხარისხი** | გაზრდილი | არასაკმარისად აღსრულებული |

## რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო (რსს): პროაქტიული ადაპტაცია და ინტეგრაცია

რსს-ის ისტორია მოიცავს შემდეგნაირ გარდაქმნას: თავდაპირველად უფლებამოსილების თამამი განმახორციელებელი, მაგრამ პოლიტიკური ძალაუფლების მიმართ მოწყვლადი ინსტიტუტიდან ავტორიტარული სახელმწიფოს ღრმად ინტეგრირებულ საყრდენამდე. მისი ადრეული წლები ქაოტური იყო; საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1993 წელს, პრეზიდენტმა ელცინმა სასამართლოს საქმიანობა მას შემდეგ შეაჩერა, რაც ამ უკანასკნელმა პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო დუმის დათხოვნა და შემდგომი ქმედებები არაკონსტიტუციურად სცნო. ელცინი სასამართლოს აღდგენას მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, როცა მისი პირველი თავმჯდომარე, ვალერი ზორკინი, ხელმძღვანელობას ჩამოაშორა, ინსტიტუტის იურისდიქცია მნიშვნელოვნად შეამცირა და კლასიკური სასამართლოს „გადავსების“ (court-packing) მანევრით, მოსამართლეთა რაოდენობა 13-დან 19 მოსამართლემდე გაზარდა, რაც თავის მხრივ, მიზნად ისახავდა ლოიალური სასამართლო ხელისუფლების უზრუნველყოფას. საწყის ფაზაში, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის ჩვეულებრივი სასამართლოები, რსს-ის გადაწყვეტილებებს ხშირად არ აღასრულებდნენ, რაც დამატებით ხაზს უსვამდა მის სისუსტეს.[16]

ვლადიმერ პუტინის მმართველობის პირობებში, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა, რაც ეტაპობრივი ინსტიტუციური კოოპტაციითა და ლოიალური თავმჯდომარის ირგვლივ ცენტრალიზაციით ხასიათდებოდა.[17] თანდათანობით, თითქმის ათწლეულის განმავლობაში, პუტინმა რსს-ის შემადგენლობა 19 მოსამართლიდან 11-მდე შეამცირა, საკანონმდებლო ზომებისა და პრეზიდენტის უმოქმედობის (ვაკანსიების არშევსების გზით) სერიის მეშვეობით, რამაც კულმინაციას 2020 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებისას მიაღწია, რომლითაც შეცვლილი სტატუს-კვოს რატიფიცირება განხორციელდა.[18]

ეტაპობრივობის მიუხედავად, აღნიშნული სტრატეგია, ფაქტობრივად, სასამართლოს „გადავსების“ სქემა (court-packing scheme) იყო. ამავდროულად, კრიტიკულად განწყობილი მოსამართლეები თანამდებობიდან გათავისუფლდნენ, ან იძულებით პენსიაზე გავიდნენ, ხოლო ლოიალურ თავმჯდომარეს, ზორკინს კი, განუსაზღვრელი უფლებამოსილება მიენიჭა, მათ შორის, იგი უფლებამოსილების განუსაზღვრელი ვადით აღიჭურვა, თანამდებობაზე სავალდებულო საპენსიო ასაკის მოთხოვნის გაუქმების ჩათვლით. რსს-ის გადატანა სანქტ-პეტერბურგში, ზორკინის მიერ კრემლთან შეთანხმებულ რელოკაციის გულუხვ პაკეტებთან ერთად, მოსამართლეთა მხრიდან ლოიალობის გამოვლენის მნიშვნელოვანი სტიმული იყო, რაც ასახავს კიდეც „თაფლაკვერის“ ინსტრუმენტის გამოყენებას მორჩილების უზრუნველსაყოფად.

16 ALEXEI TROCHEV, JUDGING RUSSIA: CONSTITUTIONAL COURT IN RUSSIAN POLITICS, 1990-2006. (2008).

17 Alexei Trochev & Peter H. Solomon, Authoritarian Constitutionalism in Putin's Russia, 51 COMMUNIST AND POST-COMMUNIST STUDIES 201 (2018).

18 Ivan S Grigoriev, What Changes for the Constitutional Court with the New Russian Constitution? 6 RUSSIAN POLITICS 27 (2021).

ზორკინის ირგვლივ ძალაუფლების ცენტრალიზაცია კიდევ უფრო გაიზარდა პროცედურული და ორგანიზაციული ცვლილებების მეშვეობით. რსს-ის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებები მორგებული იყო მისი თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით დარჩენის ამოცანას. კერძოდ, შეიცვალა თავმჯდომარისა და მოადგილეების დანიშვნის წესები: არჩევა კოლეგა მოსამართლეების მიერ შეიცვალა პოლიტიკური შტოების, კერძოდ პრეზიდენტისა და ფედერაციის საბჭოს მიერ შერჩევით. ამან კიდევ უფრო გაამყარა რსს-ის ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულება უშუალოდ პრეზიდენტის წინაშე. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის იმპიჩმენტისა და თანამდებობიდან გადაყენების უფლებამოსილება სასამართლოდან აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებზე გადავიდა. რსს-ში პალატებად შიდა დაყოფის გაუქმებამ კიდევ უფრო გააძლიერა ზორკინის კონტროლი, რითაც გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მისი ფიგურის გარშემო კიდევ უფრო ცენტრალიზებულად შეიკრა.[19]

რადგანაც რსს სულ უფრო ინტეგრირებული და პუტინის პირადი მმართველობისთვის უვნებლად აღქმული ხდებოდა, მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება: გადაწყვეტილებების აღსრულების მაჩვენებელმა საგრძნობლად მოიმატა. 2010 წლების დასაწყისში, საკანონმდებლო ცვლილებებით, რსს-ის გადაწყვეტილებები ჩვეულებრივი სასამართლოებისთვის სავალდებულო გახდა და რსს მიენიჭა უფლებამოსილება, გამოეცა კონკრეტული ინსტრუქციები საქმეების ხელახლა განსახილველად.

რეჟიმმა ასევე გააფართოვა რსს-ის იურისდიქცია მისივე ლეგიტიმაციის საჭიროებების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რუსეთი კონსოლიდირებულ ჰეგემონურ ავტორიტარულ რეჟიმზე გადადიოდა. თვალსაჩინო მაგალითები მოიცავს რსს-სთვის უფლებამოსილების მინიჭებას, უარი ეთქვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან სხვა საერთაშორისო ტრიბუნალის გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, რომლებსაც რუსეთის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნევდა. აღნიშნული ნაბიჯი, პუტინის რეჟიმის მიერ შეფასდა როგორც აუცილებელი ზომა რსს-ის გადაწყვეტილებების უკეთესი აღსრულების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სასამართლოს სტრატეგიულ ინსტრუმენტალიზაციას.

გარდა ამისა, 2020 წლის საკონსტიტუციო შესწორებებით, რომლებმაც მანამდე არსებული საპრეზიდენტო უფლებასილების ვადები „გაანულა“ და პუტინის საპრეზიდენტო ვადა ხელახლა აითვალა, რსს-ს მიენიჭა უფლებამოსილება, საკონსტიტუციო შესწორებების კონსტიტუციურობა დაედასტურებინა. ზორკინის სასამართლო მზადყოფნით დათანხმდა და თავდაჯერებულად დაასაბუთა, რომ კონსტიტუციის შესწორებამდე არსებული საპრეზიდენტო ვადების გაუქმება და ათვლის თავიდან დაწყება „ემსახურებოდა დემოკრატიის კონსტიტუციურ პრინციპებს და წარმოადგენდა სახალხო სუვერენიტეტის საბოლოო რეალიზაციას“.[20]

19 იქვე.

20 Заключение Конституционного Суда Российской Федерации о соответствии положениям глав 1, 2 и 9 Конституции Российской Федерации не вступивших в силу положений Закона Российской Федерации о поправке к Конституции Российской Федерации «О совершенствовании регулирования отдельных вопросов организации и функционирования публичной власти», а также о соответствии Конституции Российской Федерации порядка вступления в силу статьи 1 данного Закона в связи с запросом Президента Российской Федерации от 16 марта 2020 г. N 1-3, 6., 17.03.2020. [რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო

მოვლენების ამგვარმა განვითარებამ, სასამართლოს როლის თვისებრივი ცვლილება წარმოაჩინა. კერძოდ, იგი გასცდა უბრალო თვალთმაქცობის ან კონსტიტუციასთან შესაბამისობის ფასადის შენარჩუნებას და გადაიზარდა რეჟიმის პოლიტიკის აქტიურად განმტკიცებასა და რეჟიმის ძირითადი იდეოლოგიური პოსტულატების გამართლებაში. უფლებამოსილების დამატებითმა გაფართოებამ, რსს-ს მიანიჭა ძალაუფლება, შეესწავლა იმ კანონპროექტების კონსტიტუციურობა, რომლებზეც პრეზიდენტის ვეტო დაიძლია, საკონსტიტუციო შესწორების კანონპროექტები მათ ძალაში შესვლამდე და რეგიონული კანონები გამოქვეყნებამდე, რითაც, პრეზიდენტის გავლენა და ძალაუფლება სასამართლოს მეშვეობით გაფართოვდა. რსს-მ ასევე გადამწყვეტი როლი შეიძინა პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურისას, სავალდებულო დასკვნის მიღების უფლებამოსილებით, რომლის გარეშეც, იმპიჩმენტის პროცედურა ვეღარ გაგრძელდება.

მოცემული ტრაექტორია ასახავს გადასვლას სამართლებრივი თვალთმაქცობიდან რეჟიმის ღია მხარდაჭერაზე. ზორკინის ხელმძღვანელობით, რსს გასცდა კონსტიტუციური ნორმებისადმი ერთგულების უბრალო თვალთმაქცურ მოჩვენებითობას; იგი ღიად და ამაყად ემსახურება რეჟიმს, ნებაყოფლობით იღებს ვალდებულებას დაიცვას, გაამართლოს და განმარტოს მისი ოფიციალური იდეოლოგია.[21] ავტონომიის ამ თვისებრივმა ტრანსფორმაციამ განაპირობა ისიც, რომ სასამართლოს შიგნით, ფორმალური უთანხმოებაც კი აღარ იყო შესაძლებელი.[22]

2022 წელს[23], სასამართლოს მიერ ოთხი უკრაინული რეგიონის ანექსიის კონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მოსამართლე არანოვსკის გადადგომა, ნათლად მიუთითებს, თუ როგორ ვეღარ შეძლო რეჟიმისთვის ზოგადად უვნებელმა უმცირესობამ თავი შეეკავებინა აქტიურად დათანხმებოდა რეჟიმის ოფიციალურ იდეოლოგიასა და მიზნებს. ეს მკვეთრი კონტრასტია უმცირესობაში მყოფი მოსამართლის, არანოვსკის ჩათვლით, ადრინდელ შესაძლებლობასთან, დაეწერა განსხვავებული აზრი ან თავი აერიდებინა საქმის განხილვაში მონაწილეობისგან ჯანმრთელობის მომიზეზების გამო.

აღნიშნული ცხადყოფს, რომ როგორც კი რეჟიმი პერსონალისტურ დიქტატურად გარდაიქმნება, დემოკრატიული ფასადის საჭიროება მცირდება, ხოლო კონსტიტუციური ერთგულების პრეტენზიაც კი — ტვირთად იქცევა. კონსტიტუციისთვის ფარულად ძირის

---

სასამართლოს დასკვნა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში შესატანი შესწორების შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონის „საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ცალკეული საკითხების რეგულირების გაუმჯობესების შესახებ“ იმ დებულებების რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 1-ლი, მე-2 და მე-9 თავების დებულებებთან შესაბამისობის თაობაზე, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში, აგრეთვე აღნიშნული კანონის 1-ლი მუხლის ძალაში შესვლის წესის რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2020 წლის 16 მარტის N 1-3 მოთხოვნასთან დაკავშირებით, 6., 17.03.2020.]
https://rg.ru/documents/2020/03/17/ks-rf-popravki-dok.html

21 Scott Reid, On Zorkin's Court and Russian Foreign Policy, 5 CURRENT RES. J. SOC. SCI. & HUMAN. 96 (2022).
Caroline von Gall, from "Living Constitutionalism" to "Zombie Apocalypse". Valery Zorkin, the Constitutional Court and Russian Authoritarianism, 50 RUSSIAN HISTORY 89 (2024).
William Partlett, Putin's Artful Jurisprudence, THE NATIONAL INTEREST 35 (2013).

22 Alexandra V Orlova, The Soft Power of Dissent: The Impact of Dissenting Opinions from the Russian Constitutional Court, 52 VAND. J. TRANSNAT'L L. 611 (2019).

23 Judge known for dissenting opinions resigns from Russian Constitutional Court, Meduza (Sept. 27, 2022), https://meduza.io/en/news/2022/09/27/judge-known-for-dissenting-opinions-resigns-from-russian-constitutional-court.

გამოთხრიდან, სასამართლოს სარგებლიანობა რეჟიმის აშკარა ლეგიტიმაციისა და იდეოლოგიური მხარდაჭერის მოდუსში გადადის, რაც, თავის მხრივ, რეჟიმის იდეოლოგიის აქტიურ გაზიარებასა და გამართლებასა მოითხოვს.

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (სსს): დაგვიანებული ადაპტაცია და სუბორდინაცია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ტრაექტორია ადაპტაციის განსხვავებულ ისტორიას გვიყვება. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოსთან შედარებით, იგი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში პლებისციტური ლიდერის დემოკრატიის კონტექსტში ფუნქციონირებდა, თუმცა ვერასდროს მიაღწია არსებითად გაფართოებულ ავტონომიას. მის საოპერაციო პარადიგმად, დიდწილად, თვალთმაქცობა რჩებოდა.

სსს-ზე პოლიტიკური ძალაუფლების კონტროლი ძირითადად მიღწეული იყო სასამართლოში დანიშვნის რეგულარული პროცედურების ბოროტად გამოყენებით და პოლიტიკური ლიდერების ცვლილებისას, მოსამართლეთა მიერ „ბანაკის სტრატეგიული ცვლილებით."[24] სსს-ის მოსამართლეების რაოდენობა მუდმივი რჩებოდა. 2004 წლის კრიზისის დროს, იყო ხანმოკლე მცდელობა, საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებულიყო, რაზეც მალევე უარი ითქვა. სასამართლოს გადარჩენა ძირითადად განაპირობა მისი მაშინდელი პრეზიდენტის, ჯონი ხეცურიანისa და იმდროინდელ მოსამართლეთა მიერ ბანაკის სტრატეგიულმა ცვლილებამ. მათვე ახალ პოლიტიკურ ლიდერებთან მოლაპარაკება გამართეს სასამართლოს ქალაქ ბათუმში რელოკაციისას მისაღებ სარგებელზე. ასევე, იმ პერიოდში, სასამართლოს გაუქმების საწინააღმდეგო ზეწოლის მობილიზებაში კრიტიკული როლი ითამაშა ვენეციის კომისიამ.[25]

ტრანზიცია უფრო რთული გამოდგა 2012-2016 წლების პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცვლილებისას, როდესაც ზოგიერთმა მოსამართლემ, ახალ პოლიტიკურ ბანაკში სტრატეგიულ გადასვლაზე უარი განაცხადა. წინააღმდეგობის პასუხად, რეჟიმმა საკანონმდებლო სქემა შეიმუშავა, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, პოლონეთიდან იყო ნასესხები და რომელმაც სასამართლოს გადაწყვეტილებაუნარიანობა დროებით შეაჩერა მანამ, სანამ რეჟიმისადმი ლოიალური განწყობილი ახლადდანიშნული და ახალ პოლიტიკურ ბანაკში სტრატეგიულად გადაპორტირებული მოსამართლეები შეძლებდნენ, შეექმნათ ახალი და რეჟიმისთვის უსაფრთხო უმრავლესობა.

სსს-ის როლის ჩამოყალიბებაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პროცედურული მანიპულაციები და იურისდიქციული შეზღუდვები. კერძოდ, შეიცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და კოლეგიის თავმჯდომარეთა დანიშვნის მეთოდი, მათ შორის, 2011 წელს განხორციელებული ცვლილებით, რომელიც მოითხოვდა, სასამართლოს

24 Gretchen Helmke, The Logic of Strategic Defection: Court–Executive Relations in Argentina under Dictatorship and Democracy, 96 AMERICAN POLITICAL SCIENCE REVIEW 291 (2002).

25 ქეთევან ერემაძე, „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში: საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში" (2018).

თავმჯდომარის კანდიდატურა წარდგენილიყო პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსენსუსის საფუძველზე. თუმცა, 2016 წელს, პოლიტიკური ხელმძღვანელობა, სასამართლოს თავმჯდომარის მოსამართლეების მიერ დამოუკიდებლად არჩევის მოდელს დაუბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაბიჯი სასამართლო ავტონომიის გაძლიერებას ჰგავდა, მოსამართლეებს საშუალება მიეცათ, რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი ხელმძღვანელობა აერჩიათ, რითაც სასამართლოზე პოლიტიკური კონტროლი შენარჩუნდა.

ასევე აქტიურად გამოიყენებოდა Ad hominem (პიროვნებაზე მორგებული) პროცედურული ცვლილებები, როგორიცაა 2016 წლის ივნისის კანონმდებლობა, რომელიც ნებისმიერ მოსამართლეს, ერთპიროვნულად ანიჭებდა უფლებამოსილებას, საქმეები სასამართლოს პლენუმისათვის გადაეცა.[26] აღნიშნული უფლებამოსილება დაუყოვნებლივ გამოიყენა რეჟიმის მიერ დანიშნულმა, ჯერ კიდევ კოლეგიის ფორმატში უმცირესობაში მყოფმა მოსამართლემ, რათა პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეები, რეჟიმისადმი ლოიალური პლენუმისთვის გადაეცა. შედეგად, საქმის განხილვა იქამდე გადაიდო, სანამ ურჩი მოსამართლეები თანამდებობას დატოვებდნენ.

ამ გამოცდილების მიუხედავად, ქართულმა რეჟიმმა 2016 წლის შემდეგ, კოლეგიებად დაყოფის სისტემა მაინც შეინარჩუნა, თუმცა საგრძნობლად შეზღუდა მისი უფლებამოსილებები. მაგალითად, კოლეგიებს ჩამოერთვა სადავო ნორმის აღსრულების შეჩერების შესაძლებლობა, როგორც შუალედური ღონისძიება, რათა პოტენციურად ურჩი მოსამართლეებისგან მომავალი რისკები კოლეგიის დონეზე საგრძნობლად შემცირებულიყო. ასევე, თანდათანობით დასუსტდა სსს-ის იურისდიქცია, განსაკუთრებით მისი უფლებამოსილება ემსჯელა არჩევნებისა და რეფერენდუმების კონსტიტუციურობაზე (2005 და 2018 წლებში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების მეშვეობით). იურისდიქციის შეკვეცამ მნიშვნელოვნად შეზღუდა სასამართლოს შესაძლებლობა, შეემოწმებინა არჩევნების კონსტიტუციურობა და სადავო არჩევნების გარშემო არსებული უთანხმოებები გადაეწყვიტა.[27]

ასევე, სსს მუშაობის მუდმივი მახასიათებელი იყო მისი გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა და პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეებში სტრატეგიულ გაურკვევლობაზე დაყრდნობა. სსს-ს გადაწყვეტილებებს, რსს-გან განსხვავებით, არასდროს მოუპოვებია სავალდებულო ძალა ჩვეულებრივი სასამართლოებისთვის. საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის აპექსის სასამართლოს გამოყენების ძირითადი რეჟიმი იყო მისი უმოქმედობა და არა პროაქტიული ჩარევა.

სასამართლო ხშირად მიმართავს სტრატეგიულ გაურკვევლობას საქმეებისთვის თავის არიდებით ან მათი საბოლოო გადაწყვეტის განუსაზღვრელი ვადით გადადებით, რაც ფაქტობრივად საშუალებას აძლევს კონსტიტუციურად საეჭვო რეგულაციებს ძალაში

26 Venice Comm'n, Opinion on the Amendments to the Organic Law on the Constitutional Court and to the Law on Constitutional Legal Proceedings, CDL-AD (2016)017-e (June 10-11, 2016).

27 Nino Tsereteli, Georgian Dream as a Nightmare for Democracy: Public Resistance and External Pressure as Substitutes for Effective Judicial Oversight, VerfBlog (Nov. 21, 2024), https://verfassungsblog.de/georgia-electoral-fraud-civic-resistance/ , https://doi.org/10.59704/2819f7faf30fff94.

დარჩეს.[28] ამის ნათელი ილუსტრაციაა საკანონმდებლო „შავი ხვრელი", რომელმაც 2017 წლიდან მოყოლებული მასობრივი ციფრული თვალთვალი გახადა შესაძლებელი, სადაც სსს-მ უარი თქვა იმ კანონმდებლობის გაუქმებაზე, რომლითაც მისი წინა გადაწყვეტილება დაიძლია.[29] მოცემულ საქმეზე, თითქმის დეკადის განმავლობაში, სასამართლო სათათბირო ოთახშია „გასული" საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ანალოგიურად, პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეების, როგორიცაა ოპოზიციის ფიგურების მიზანმიმართული დევნა, განხილვა შეფერხდა, რის შესახებაც, სსს-მ მხოლოდ ერთ საქმეზე და ისიც 2024 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება,[30] მოსარჩელეთა პატიმრობიდან გათავისუფლებიდან დიდი ხნის შემდეგ. კონსტიტუციური დავების გადაწყვეტისას, სტრატეგიული გაურკვევლობა, რეჟიმს საშუალებას აძლევს, დახვეწოს სამართლებრივი ინსტრუმენტები და მიაღწიოს თვითნებურ მიზნებს გაძლიერებული სამართლებრივი საფარით, მაშინაც კი, თუ ეს გადაწყვეტილებები ვერ გაუძლებს საერთაშორისო ორგანოების, მაგალითად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) შემოწმებას.[31] ამ ტიპის უმოქმედობა არ არის მხოლოდ უმოქმედობა ორდინალური გაგებით, არამედ იგი განზრახი არჩევანია, რათა თავიდან იქნას აცილებული რეჟიმთან კონფრონტაცია და უსიტყვოდ იქნას დაშვებული მისი თვითნებური ქმედებები სასამართლოს კონტროლის გარეშე.

სტრატეგიულად გადაწყვეტილების მიღებაზე ან აღსრულებაზე უარის თქმით, სასამართლო უზრუნველყოფს იმპლიციტური ლეგიტიმაციის ფორმას — იგი პირდაპირ არ ადასტურებს რეჟიმის ქმედებებს, მაგრამ აშორებს მას სასამართლო დაბრკოლებებს, რაც რეჟიმს საშუალებას აძლევს, სამართლებრივ რუხ ზონაში იმოქმედოს. მსგავსი მიდგომა, მოსამართლეებისთვის დაბალი რისკის სტრატეგიაა, რადგან მართალია ისინი თავს არიდებენ უშუალო ჩართულობას, თუმცა მაინც რეჟიმის ინტერესებს ემსახურებიან.

ზეწოლის მიუხედავად, სსს-ის უმცირესობაში მყოფი მოსამართლეები რეგულარულად გამოხატავენ განსხვავებულ აზრს თუნდაც იმ საკითხებზე, რომლებიც რეჟიმის წითელ ხაზებად მოიაზრება. აღნიშნული ხელს უწყობს იმ აღქმის შენარჩუნებას, რომ კონსტიტუციური წესრიგი ჯერ სრულად არ არის მოშლილი, რაც, თავის მხრივ, რაც უნდა პარადოქსული იყოს, სარგებელს კვლავ რეჟიმს აძლევს, რადგან ამგვარად, კონსტიტუციური ლეგიტიმაციის ფასადს ინარჩუნებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული აზრისადმი შედარებითი ტოლერანტობის გამოვლენა, სსს-სთვის ინსტიტუციურ ავტონომიაში არასდროს გადაზრდილა.

28 Mariam Mkhatvari, The Strategies of the Subdued Constitutional Courts for Advancing the Goals of the Rulers (Russian, Kyrgyz, and Georgian Stories) (2020) (LL.M. thesis, CEU Legal Studies).

29 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე N3/4/N885-924, 928-929, 931-1207, 1213, 1220-1224, 1231 (2017 წლის 29 დეკემბერი).

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N3/1/740,764 (2024 წლის 7 ივნისი).

31 CASE OF GLONTI AND OTHERS v. GEORGIA, App. No. 13708/18, Eur. Ct. H.R. (Feb. 11, 2025).

# 4. ასვლა სამართლებრივი ელიტების კიბეზე: საქართველოსა და რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოები და მეწარმეობის როლი

რუსეთისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოების თავიანთ პოლიტიკურ რეჟიმებთან ურთიერთმოქმედების განსხვავებული შედეგები, განსაკუთრებით კი მათი სტატუსი შესაბამისი პოლიტიკური რეჟიმების სამართლებრივ ელიტებში, ღრმადაა განპირობებული სამეწარმეო ლიდერობის (entrepreneurial leadership) არსებობით ან არარსებობით.

## ვალერი ზორკინის სამეწარმეო გამჭრიახობა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში (რსს)

ვალერი ზორკინი არის საკვანძო ფიგურა, რომლის სამეწარმეო უნარებმა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს საშუალება მისცა, მნიშვნელოვანი და გავლენიანი ადგილი დაემკვიდრებინა პუტინის სამართლებრივ ელიტაში. თავმჯდომარედ ხანგრძლივი მოღვაწეობა და ლიდერთან[32] უშუალო წვდომის არსებობა, ხაზს უსვამს მის უნიკალურ და შეუცვლელ პოზიციას რეჟიმის ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურაში.

ზორკინის მოტივაცია, უმეტესწილად, სამეწარმეო ხასიათისაა: ფოკუსირება რეჟიმის სამსახურში პრაგმატულ მანევრირებაზე, რათა უზრუნველყოფილიყო სასურველი პოზიცია და გაეზარდა სასამართლოს ინსტიტუციური სარგებლიანობა. ამ სამეწარმეო მიდგომამ ხელშესახები სარგებელი მოიტანა, მათ შორის მოსამართლეებისთვის შესაბამისი შეღავათების მიღება, როგორიცაა რელოკაციის გულუხვი პაკეტები, როდესაც რსს სანქტ-პეტერბურგში გადაიტანეს. აღნიშნული გვიჩვენებს თუ როგორ შეუძლია სასამართლო ლიდერობას, რომელიც თვითგადარჩენითა და კარიერული წინსვლითაა განპირობებული, აქტიურად ეძიოს ინტეგრაცია, რაც ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, ინსტიტუციური კოოპტაციის პროცესს უფრო ორგანულს და ნაკლებად იძულებითს ხდის.

პუტინის პერსონალისტური დიქტატურის პირობებში, ზორკინის ავტონომიამ თვისებრივი ტრანსფორმაცია განიცადა, რომელიც რეჟიმის ინფრასტრუქტურაში სრული ინტეგრაციითა და რეჟიმის იდეოლოგიისა და მიზნების ღრმა გათავისებით ხასიათდება. ღრმა იდეოლოგიური იდენტიფიკაცია ნიშნავს, რომ ზორკინის ავტონომია უპირველესად სამეწარმეო განზომილებამდე დაიყვანება, რაც მას აძლევს დისკრეციას განსაზღვროს, თუ უკეთესად როგორ მოემსახურება რეჟიმის მიზნებს, რომლებსაც იგი სრულად იზიარებს.

ეს იმაზეც მიუთითებს, რომ მართალია, პერსონალისტური დიქტატურის კონტექსტში, სასამართლოს დამოუკიდებლობის ტრადიციული ცნებები იკარგება, თუმცა, გონიერ

32 პუტინის საკუთარი საჯარო აღიარებით: „ვალერი დმიტრიევიჩმა [ზორკინმა] იცის, რომ დროდადრო ვურეკავ და ვეკითხები, როგორი სახე ექნება ამა თუ იმ წესს, როცა მას ამზადებენ პარლამენტში ან მინისტრთა კაბინეტში მისაღებად. “ციტირებულია ტროჩევი & სოლომონი-ს მიხედვით.

სამეწარმეო ლიდერს, შეუძლია, სასამართლოს სარგებლიანობა რეჟიმისთვის გამოიყენოს (მაგ., ლეგიტიმაციისთვის, პოლიტიკის განხორციელებისთვის), რათა მოლაპარაკება აწარმოოს ავტონომიის ისეთ ფორმაზე, რომელიც არ გულისხმობს ხელისუფლების შემოწმებას, არამედ უქმნის დისკრეციას, სასამართლომ თავად განსაზღვროს, პოლიტიკურ ხელისუფლებას უკეთ როგორ მოემსახუროს. მსგავსი დისკრეცია, შეზღუდულობის მიუხედავად, სასამართლოსა და მისი ლიდერისთვის სტაბილურ და სასარგებლო როლს უზრუნველყოფს. ეს იმაზეც მეტყველებს, რომ მეწარმეობა, აპექსის სასამართლოს პოლიტიკური ძალაუფლების პოტენციური შემმოწმებლიდან, ავტორიტარული მმართველობის აქტიურ პარტნიორად გარდაქმნის და სწორედ ამ პარტნიორობის ფარგლებში, ავტონომია რეჟიმის მიზნებისთვის მისი შეუცვლელი მსახურებისგან (და არა რეჟიმისგან დამოუკიდებლობისგან) მომდინარეობს.

რაც მთავარია, ზორკინის სასამართლო გასცდა პლებისციტური დემოკრატიების აპექსის სასამართლოებისთვის დამახასიათებელ „თვალთმაქცობის“ ოპერაციულ რეჟიმს. იგი ღიად და სიამაყით ემსახურება პუტინის რეჟიმს, ნებაყოფლობით იღებს ვალდებულებას, დაიცვას, გაამართლოს და განმარტოს მისი ოფიციალური იდეოლოგია. ეს აშკარად გამოჩნდა სასამართლოს მიერ პუტინის საპრეზიდენტო ვადების შეზღუდვების „განულების“ გამართლებაში, რომლის ფარგლებშიც, რსს-მ დაასაბუთა, რომ ასეთი ქმედებები დემოკრატიისა და სახალხო სუვერენიტეტის კონსტიტუციურ პრინციპებს ემსახურებოდა. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ რეჟიმის ავტოკრატიზაციისა და მისი „წითელი ხაზების“ გამკაცრების პირობებში, მხოლოდ თვალთმაქცობის მექანიზმის სარგებლიანობა საგრძნობლად მცირდება.

რეჟიმს აღარ სჭირდება კანონმორჩილების ფასადი, არამედ ითხოვს საკუთარი იდეოლოგიის აქტიურ გამართლებასა და გავრცელებას. საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივი განუსაზღვრელობის დახვეწილი ხელშემწყობიდან სახელმწიფოს აქტიურ იდეოლოგიურ ბურჯად იქცევა. მისი ავტონომია გულისხმობს დისკრეციას, თუ როგორ მოემსახუროს რეჟიმის უკეთესად და როგორ განახორციელოს რეჟიმის მიერ სრულად მხარდაჭერილი მიზნები.

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (სსს) ლიდერობა: ინსტიტუციური თვითდამკვიდრებიდან პრაგმატიზმამდე სამეწარმეო მამოძრავებლის გარეშე

რსს-სგან განსხვავებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ვერასდროს შექმნა ზორკინის დარი „ძლიერი სასამართლო ლიდერი“. მიუხედავად იმისა, რომ აპექსის სასამართლოს პრეზიდენტის თანამდებობის პოლიტიკური კონტროლი მუდმივად საკვანძო ფაქტორი იყო, სსს-ს ლიდერებმა ვერასდროს შეძლეს, პოლიტიკურ მმართველებთან ურთიერთობაში ზორკინის სამეწარმეო მიღწევებს გათანაბრებოდნენ. აღნიშნულის საპირისპიროდ, ივანიშვილის მმართველობის ადრეულ წლებში, სსს-ს ხელმძღვანელობა ცდილობდა, საკუთარი ინსტიტუციური სტატუსი თამამი და პრინციპული გადაწყვეტილებების მიღებით დაემკვიდრებინა, რითაც გამოწვევას უცხადებდა სახელმწიფოს მიტაცების მიმდინარე პროცესს, რის შედეგადაც, მიტაცებული თავად აღმოჩნდა.

ქართველი მოსამართლეები საკმაო დაგვიანებით, მხოლოდ სასამართლოს მტრული ინსტიტუციური მიტაცების (2016) შემდეგ მოერგნენ ავტოკრატიზაციის გზაზე მდგომ რეჟიმს. ადაპტაციის გზაზე მდგომებს, არ ჰყავდათ ზორკინის მსგავსი სამეწარმეო ლიდერი. შედეგად, ისინი ივანიშვილის რეჟიმის სამართლებრივ ელიტაში დაქვემდებარებულ როლში კოოპტირდნენ. მათ ვერაფრით მიაღწიეს ისეთ მაღალ სტატუსსა და გავლენას, როგორსაც მათმა რუსმა კოლეგებმა.

მოტივები, თუ მოტივაციები, რითაც სსს-ს მოსამართლეები რეჟიმთან ადაპტაციას ამართლებდნენ, უპირველეს ყოვლისა, პრაგმატული იყო: ინსტიტუციური გადარჩენის უზრუნველყოფა და რეჟიმის მიზნებთან ღია იდენტიფიკაციის თავიდან აცილება. ეს განსხვავდება ზორკინის აქტიური სწრაფვისგან რეჟიმის ელიტებში მაღალი სტატუსისა და გავლენისკენ კოოპტაციის მეშვეობით.

სსს-ს უფრო რეაქციულ რეჟიმში წარმოებულ და ნაკლებად სტრატეგიულად მართულ ადაპტაციას, რომელიც ხშირად უმოქმედობასა და სტრატეგიულ გაუბედაობას ეყრდნობოდა, არ შეეძლო ინსტიტუციური ავტონომიის იგივე დონისთვის მიეღწია ან რეჟიმის ფარგლებში ისეთი გავლენა მოეპოვებინა, როგორც ეს რუსეთში მოხდა. მანიპულაციაზე მუდმივი დამოკიდებულება და კონსტიტუციისადმი ერთგულების გარეგნული იერსახის შენარჩუნების სურვილი, რეჟიმის იდეოლოგიის ღიად გაზიარების გარეშე, ზღუდავდა სასამართლოს შესაძლებლობას, ინტეგრაციისა და გავლენის იმავე დონისთვის მიეღწია, როგორიც რსს-მ ზორკინის პირობებში მოიპოვა.

დასასრულს, ვალერი ზორკინის მსგავსი სამეწარმეო ლიდერის არსებობამ, რსს-ს საშუალება მისცა, პროაქტიულად ინტეგრირებულიყო ჩამოყალიბების პროცესში მყოფ რუსულ რეჟიმში, გადააქცია იგი შეუცვლელ იდეოლოგიურ საყრდენად და მისი მოსამართლეებისთვის სამართლებრივ ელიტაში მაღალი იერარქიული სტატუსიც მოიპოვა.

ეს მკვეთრად უპირისპირდება სსს-ს შემთხვევას, როდესაც ასეთი ლიდერობის არარსებობამ, უფრო რეაქციული, პრაგმატული და საბოლოოდ დაქვემდებარებული როლი გამოიწვია. ამ დაკვირევებას არაფერი წარმოაჩენს უფრო ნათლად, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, მერაბ ტურავას კარიერა სასამართლოს თავმჯდომარედ ყოფნის შემდეგ. მოსამართლე, რომელსაც 2015-2025 წლებში, სასამართლოს ინსტიტუციურ მიტაცებასა და რეჟიმის სასარგებლოდ კოოპტაციის პროცესში ინსტრუმენტული როლი ერგო, უფლებამოსილების დასრულების შემდეგ, რეჟიმმა მხოლოდ და მხოლოდ იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობით დააჯილდოვა.[33] ის გარემოება, რომ იგი ამ თანამდებობას, როგორც ჯილდოს, დათანხმდა და დაწინაურებადაც კი ჩათვალა, საუკეთესოდ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად დაბალია აპექსის სასამართლოს მოსამართლეების სტატუსი ივანიშვილის სამართლებრივ ელიტაში. ამ მხრივ, ასევე აღსანიშნავია, 2016 წელს „ბანაკებს შორის სტრატეგიულად გადაადგილებული“ ორი მოსამართლის, ოთარ სიჭინავასა და ლალი ფაფიაშვილის საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომი კარიერა. პირველი მათგანი

33 მერაბ ტურავა დაინიშნა „ქართული ოცნების “იუსტიციის მინისტრის მოადგილედ, Civil.ge (2025 წლის 29 აპრილი, 15:32 სთ.), https://civil.ge/archives/678477.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას დასჯერდა, ხოლო მეორე — უზენაესი სასამართლოს ლოიალისტებით გადავსების ფარგლებში, სწორედ ამ სასამართლოს მოსამართლე გახდა.[34] მათი ეს არჩევანიც ცხადად მიუთითებს საკონსტიტუციო მოსამართლის დაბალ პოზიციაზე რეჟიმის სამართლებრივ ელიტაში.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა ხასიათი, მათი გმირობისადმი მიდრეკილების არქონით, რეჟიმთან ამგვარი ადაპტაციისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის, ავტორიტარული სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, ელიტური სტატუსისა და გავლენის მისაღწევად გადამწყვეტი კონტექსტური ფაქტორი მაინც აპექსის სასამართლოს ლიდერების სამეწარმეო უნარია.

## 5. დასკვნა

ავტორიტარული და ავტოკრატიზაციის გზაზე მდგომი რეჟიმების ფარგლებში, სასამართლო ხელისუფლების დინამიკის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა რუსეთისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოების შედარებითი ანალიზი. ის აჩვენებს, რომ აპექსის სასამართლოს მოსამართლეთა პოზიცია რეჟიმის იურიდიულ ელიტაში არ არის ინსტიტუციური დიზაინის წინასწარ განსაზღვრული შედეგი, არამედ ღრმადაა ფორმირებული დამოკიდებული კონტექსტური ფაქტორებით, რომელთაგან ყველაზე აღსანიშნავი სასამართლო ლიდერების სამეწარმეო უნარია. სტატიაში განხილული ორი სასამართლოს ტრაექტორია მკვეთრად განსხვავებულ სტრატეგიასა და შედეგს გვთავაზობს, რაც საბოლოოდ ადასტურებს სასამართლოთა სუბიექტურობის (agency) გადამწყვეტ როლს ავტოკრატიულ ძალაუფლების სტრუქტურებში ნავიგაციისა და ინტეგრაციის პროცესში.

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო, ვალერი ზორკინის ხელმძღვანელობით, პროაქტიული და სამეწარმეო ადაპტაციის გზის მაგალითია. პუტინის რეჟიმის მოთხოვნილებების განჭვრეტით, ზორკინმა წარმატებით გარდაქმნა რსს ძალაუფლების პოტენციური შემზღუდველიდან იდეოლოგიური ლეგიტიმაციის შეუცვლელ ინსტრუმენტად. ამ სტრატეგიულმა მანევრირებამ, რომლის დროსაც სასამართლო სამართლებრივი თვალთმაქცობის რეჟიმიდან ღია მხარდაჭერის რეჟიმამდე განვითარდა, არა მხოლოდ სასამართლოს ინსტიტუციური აქტუალობა უზრუნველყო, არამედ კრემლის იურიდიულ ელიტაში მაღალი და გავლენიანი ადგილი მისი თავმჯდომარისა და მოსამართლეთათვის. ზორკინის პროექტი გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია სასამართლო ლიდერს, გამოიყენოს სასამართლოს პოტენციური სარგებლიანობა პრივილეგირებული და სტაბილური პოზიციის მოსაპოვებლად და ავტორიტარული მმართველობის პარტნიორად გასახდომად.

34 Malkhaz Nakashidze, *Constitutional Court and Politics: The Case of Georgia*, 17 **ICL J.** 337 (2023).

საპირისპიროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება ხაზს უსვამს დაგვიანებული ადაპტაციისა და მსგავსი სამეწარმეო ლიდერის არარსებობის შედეგებს. სსს ხელმძღვანელობის საწყისმა, პრინციპულმა პოზიციამ სახელმწიფოს მიტაცების წინააღმდეგ, გამოიწვია მტრული ინსტიტუციური მიტაცება, ხოლო კოოპტაციის შემდგომი მცდელობები იყო რეაქციული და სტრატეგიულ ხედვას მოკლებული.

შედეგად, სსს-ის მოსამართლეები მმართველი იურიდიული ელიტის მიერ დაქვემდებარებულ დონეზე იქნენ მიღებულნი, ხოლო მათი სარგებლიანობა რეჟიმისთვის უფრო უმოქმედობითა და სტრატეგიული გადაუწყვეტელობით განისაზღვრებოდა, ვიდრე აქტიური მხარდაჭერით. სსს-ის ყოფილი თავმჯდომარის პოსტ-სასამართლო კარიერა, რომელიც მინისტრის მოადგილის როლით დაჯილდოვდა, მკვეთრად ასახავს ამ უფრო დაბალ იერარქიულ მდგომარეობას. კერძოდ, მიუთითებს დაწინაურებაზე იმ პოზიციიდან, რომელიც რეჟიმის ძალაუფლების სტრუქტურაში მეორეხარისხოვნად ითვლებოდა.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ მართალია აპექსის სასამართლოების თანდაყოლილი სტრუქტურული სისუსტეები და მოსამართლეთა მიდრეკილების ნაკლებობა გმირობისკენ ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ავტორიტარული რეჟიმის მიერ კოოპტაციისთვის, აღნიშნული ფაქტორები, ცალკე აღებული, საბოლოო შედეგს მაინც ვერ განსაზღვრავენ. რუსეთისა და საქართველოს შემთხვევები დამაჯერებლად აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი ცვლადი არის სამეწარმეო უნარი. ზორკინის მსგავს სამოსამართლო „მეწარმეს“ შეუძლია, რეჟიმის სამართლებრივი ელიტის სათავეშიც კი მოექცეს.